ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების სტუდენტთა ფინანსური დავალიანების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ’ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 აგვისტოს № 664 ბრძანების ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის ”ი” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ უნივერსიტეტის მიმართ ფინანსური დავალიანება, ეძლევათ გაფრთხილება, რომ ა.წ. 15 აპრილამდე ვალდებულნი არიან დაფარონ სრული დავალიანების ნახევარი, ხოლო ა. წ. 25 მაისამდე სწავლის საფასური სრულად უნდა იყოს დაფარული.

2. აღნიშნული სტუდენტები, რომლებიც არ დაფარავენ სწავლის საფასურს ამ ბრძანებაში მითითებულ ვადებში, არ დაიშვებიან დასკვნით გამოცდებზე.

3. ამ ბრძანებით განსაზღვრულ სტუდენტებს 12 ივნისის შემდეგ დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი, რაც გულისხმობს, რომ

   ისინი ვერ მიიღებენ დიპლომირებული სპეციალისტის ხარისხს სტუდენტის სტატუსის აღდგენამდე.

4. სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს სტატუსი აღუდგებათ მხოლოდ სწავლის საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

6. დაევალოს კანცელარიას, ბრძანების ასლები მიაწოდოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს, საბაკალავრო პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტს, ფინანსურ სამსახურს, აღრიცხვა - ანგარიშგების დეპარტამენტს, საფინანსო სამმართველოს, იურიდიულ სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი